საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

საჯარო სამართლის იურიდიული პირი

გარემოს ეროვნული სააგენტო

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 15/ს
16/01/2023

15-21-4-202301161138

დუშეთის მუნიციპალიტეტში, სოფ.მუღურეში, შპს „ჩინეთის სარკინიგზო გვირაბის ჯგუფი კო., ფილიალი საქართველოშის“ ქვეშეთი-კობის გზის I ლოტის (გვირაბის სექცია) მშენებლობის პროექტის ფარგლებში, ნავთობპროდუქტების საცავის ექსპლუატაციაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

შპს „ჩინეთის სარკინიგზო გვირაბის ჯგუფი კო., ფილიალი საქართველოშის“ მიერ, გზშ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილია დუშეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. მუღურეში, ქვეშეთი-კობის გზის I ლოტის (გვირაბის სექცია) მშენებლობის პროექტის ფარგლებში, ნავთობპროდუქტების საცავის ექსპლუატაციის სკრინინგის განცხადება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ნავთობპროდუქტების საცავი მოწყობილია ქვეშეთი-კობის გზის I ლოტის (გვირაბის სექცია) მშენებლობის პროექტის ფარგლებში, დუშეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. მუღურეში, №2 საცხოვრებელი ბანაკის მიმდებარედ, ბეტონის კვანძის განთავსების ტერიტორიაზე (ს/კ: 71.62.56.001). ნავთობპროდუქტების საცავის განთავსების GPS კოორდინატებია: X-461588, Y-4702824; X-461591, Y-4702826; X-461600, Y- 4702816; X- 461597, Y- 4702814. ნავთობპროდუქტების საცავიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი დაშორებულია დაახლოებით 270 მეტრით, ხოლო უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტი, მდ. ხადისწყალი, მიედინება დაახლოებით 200 მეტრში.

2022 წლის 15 აგვისტოს, სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ განხორციელდა შპს „ჩინეთის სარკინიგზო გვირაბის ჯგუფი კო., ფილიალი საქართველოშის“ კუთვნილი ობიექტის ინსპექტირება და „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა“ კოდექსის 79^7-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტზე (სკრინინგის პროცედურისადმი დაქვემდებარებული საქმიანობის სკრინინგის გადაწყვეტილების გარეშე განხორციელება) შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ №071476 ოქმი.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ტერიტორიაზე მოწყობილია დიზელის ჰორიზონტალური რეზერვუარი (40 $მ^3$). აღნიშნული რეზერვუარისათვის ტერიტორიაზე აშენდა ბეტონის ავზი, რომლის მოცულობა არის 115.2 $მ^3$, კედლის სისქე 20 სმ, ხოლო ძირი - 20 სმ. ბეტონის ავზის სიგრძეა 12 მ, სიგანე 3.2 მ, სიმაღლე 2 მ და გადახურულია მეტალოკრამიტით. ნავთობპროდუქტების შესანახი რეზერვუარი დამზადებულია

უჟანგავი ლითონისაგან, დაფარულია ანტიკოროზიული ნივთიერებებით, აღჭურვილია სასუნთქი სარქველებით, მანომეტრებით და ტექნიკური მომსახურებისათვის განკუთვნილი სათადარიგო კიბით. ობიექტზე ასევე დამონტაჟებულია საწვავმარიგებელი სვეტი, მეხამრიდი და ქრობის პირველადი საშუალებები. საპროექტო ტერიტორიაზე ნავთობპროდუქტების შემოტანა ხორციელდება ქვეკონტრაქტორის მიერ, შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე, ავტოცისტერნების საშუალებით. რეზერვუარიდან ნავთობპროდუქტები, მილსადენის მეშვეობით, მიეწოდება საწვავმარიგებელ სვეტს, საიდანაც ხდება ავტოსატრანსპორტო საშუალებების გამართვა. დოკუმენტის თანახმად, ნავთობპროდუქტების საცავი ემსახურება ქვეშეთი-კობის გზის I ლოტის (გვირაბის სექცია) მშენებლობის პროექტის ფარგლებში, №2 ბანაკის ტერიტორიაზე მომსახურე ავტოსატრანსპორტო საშუალებებს. ობიექტზე წლის განმავლობაში ხორციელდება 240 ტონა დიზელის საწვავის რეალიზაცია. ობიექტის სამუშაო რეჟიმი შეადგენს წელიწადში 365 დღეს, დღე-ღამეში 24 საათს და დასაქმებულია 3 ადამიანი. დიზელის საწვავის საცავის ოპერირება გათვალისწინებულია ქვეშეთი-კობის გზის I ლოტის (გვირაბის სექცია) მშენებლობის დასრულებამდე.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ნავთობპროდუქტების საცავის ფუნქციონირების ეტაპზე ადგილი ექნება მავნე ნივთიერებათა წარმოქმნას და მათ ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევას. დიზელის საცავის მიერ ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებებს წარმოადგენს ნავთობპროდუქტების ნახშირწყალბადები, რომელთა მაქსიმალური ინტენსივობა ფიქსირდება ავტოცისტერნიდან ნავთობპროდუქტების მიღების, შენახვისა და ავტომობილების გამართვისას. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ობიექტის მცირე წარმადობის (240 ტ/წ) გათვალისწინებით, ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებების რაოდენობა იქნება უმნიშვნელო და არ გადააჭარბებს კანონმდებლობით დადგენილ ნორმებს.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, საცავის ექსპლუატაცია არ უკავშირდება ხმაურისა და ვიბრაციის წარმომქმნელი დანადგარების განთავსებას. შესაბამისად, ობიექტის ფუნქციონირების შედეგად, ხმაურისა და ვიბრაციის გავრცელების კანონმდებლობით დასაშვები დონეების გადაჭარბება, უახლოეს საცხოვრებელ სახლთან (270 მ) არ არის მოსალოდნელი.

წარმოდგენილი სკრინინგის განცხადების თანახმად, ტერიტორიაზე წარმოქმნილი სანიაღვრე წყლები იკრიბება და ჩაედინება სამშენებლო ტერიტორიაზე მოწყობილ სალექარში. სალექარში წარმოქმნილი ნარჩენები, დასაწყობდება სპეციალურ კონტეინერებში და შემდგომი მართვის მიზნით, გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიას.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, ნავთობპროდუქტების საცავის ექსპლუატაციისას მოსალოდნელია საყოფაცხოვრებო და სახიფათო ნარჩენების წარმოქმნა, რომლებიც გროვდება სეპარირებულად, სპეციალურ კონტეინერებში. საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა ხდება მუნიციპალურ სამსახურთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, ხოლო სახიფათო ნარჩენები შემდგომი მართვის მიზნით, გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიას.

როგორც უკვე აღინიშნა, წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ნავთობპროდუქტების საცავიდან უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტი, მდ. ხადისწყალი, დაშორებულია 200 მეტრით. ვინაიდან, ნავთობპროდუქტების რეზერვუარი

განთავსებულია ბეტონის სითხეგაუმტარ ავზში, რომელიც დაფარულია მეტალოკრამიტით და რომლის მოცულობა 3-ჯერ აღემატება საწვავის რეზერვუარის მოცულობას, ობიექტის ექსპლუატაციის ეტაპზე მიწისქვეშა/გრუნტის წყლებზე და ზედაპირული წყლის ობიექტზე, მდ. ხადისწყალზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, საპროექტო ტერიტორია არ მდებარეობს არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, დაცული და ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორიის სიახლოვეს, სადაც გავრცელებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები. ობიექტზე ნიადაგის ნაყოფიერი ფენა უკვე მოხსნილია და ტერიტორიაზე წარმოდგენილია ალპური მდელოებისათვის დამახასიათებელი მცენარეულობა. ობიექტზე და მის მიმდებარედ არ ფიქსირდება ცხოველებისათვის ხელსაყრელი პირობები. შესაბამისად, დაგეგმილი საქმიანობა არ იქნება დაკავშირებული გარემოს აღნიშნულ კომპონენტებზე მოსალოდნელ ზემოქმედებასთან.

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, ნავთობპროდუქტების საცავის სიახლოვეს, სხვა მსგავსი პროფილის ობიექტ(ებ)ი არ ფუნქციონირებს, შესაბამისად, დაგეგმილი საქმიანობა არ იქნება დაკავშირებული გარემოზე კუმულაციურ ზემოქმედებასთან.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება განთავსდა სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და გადაიგზავნა დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, საზოგადოების მხრიდან, აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით, წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში არ ყოფილა წარმოდგენილი.

სკრინინგის განცხადების შესწავლის საფუძველზე დგინდება, რომ საქმიანობის ადგილმდებარეობის, სპეციფიკის და მასშტაბის გათვალისწინებით, ნავთობპროდუქტების საცავის ექსპლუატაცია არ იქნება დაკავშირებული გარემოზე მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილისა და ამავე კოდექსის II დანართის მე-6 პუნქტის 6.3 ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ დუშეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. მუღურეში, შპს „ჩინეთის სარკინიგზო გვირაბის ჯგუფი კო., ფილიალი საქართველოშის“ ქვეშეთი-კობის გზის I ლოტის (გვირაბის სექცია) მშენებლობის პროექტის ფარგლებში, ნავთობპროდუქტების საცავის ექსპლუატაცია **არ დაექვემდებაროს** გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. შპს „ჩინეთის სარკინიგზო გვირაბის ჯგუფი კო., ფილიალი საქართველოში“ ვალდებულია, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად, უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ჩინეთის სარკინიგზო გვირაბის ჯგუფი კო., ფილიალი საქართველოშის“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ჩინეთის სარკინიგზო გვირაბის ჯგუფი კო., ფილიალი საქართველოშის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;

5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და დუშეთის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

თამარ ფიცხელაური

თ. ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი
სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო